ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში

2021

წლიური ანგარიში

თავმჯდომარის მიმართვა

ძვირფასო თბილისელებო,

ჩემთვის დიდი პატივი იყო თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციიდან მემსახურა ჩვენი ქალაქისთვის. ვფიქრობ, განვლილი 4 წლის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები, რომელმაც ქალაქის საშუალო და გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივაში წესრიგი შემოიტანა და ხელი შეუწყო უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებას; მათ შორის მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო:

- თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღება;
- განაშენიანების ინტენსივობის - K2 კოეფიციენტის მატების აკრძალვა;
- ჯანდაცვის ახალი პროგრამების დანერგვა და არსებულის გაზრდა
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება
- ტურისტულად მიმზიდველი ისტორიული არეალების რეაბილიტაცია
- ქუჩების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია ქვეითზე ორიენტირებული ეკო-მეგობრული მიდგომებით
- მასშტაბური მწვანე სივრცეების შექმნა და სარეკრეაციო ზონების განახლება-რეაბილიტაცია
- კოოპერატიული და დაუსრულებელი ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დასახმარებლად მიღებული უმნიშნელოვანესი გადაწყვეტილებები და სხვა.

განვითარების დინამიკა ყოველ ეტაპზე ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს, რაც შესაბამის რეაგირებას და სწორად განსაზღვრულ საპასუხო ქმედებებს მოითხოვს. ვიმედოვნებ მომდევნო 4 წელიწადი ასევე დატვირთული იქნება ჩვენი ქალაქის და თანაქალაქელების კეთილდღეობისკენ მიმართული სასარგებლო პროექტებით, რაც მეტ სიცოცხლეს შესძენს ჩვენს ქალაქს და მის თითოეულ უბანს. წლიური ანგარიში კი კარგი შესაძლებლობაა გადავხედოთ იმ შედეგებს, რაც ჩვენს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მოიტანა.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე მეორე წელიწადია გლობალური პანდემიის პირობებში გვიწევს საქმიანობა, თბილისის მუნიციპალიტეტმა საანგარიშო პერიოდში შეძლო წარმატებით განეხორციელებინა პრიორეტუტლი პროექტები.

წლევანდელი წელი გამოირჩეოდა მსხვილი ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო პროექტებით, სარეკრეაციო და ისტორიული არეალების სარეაბილიტაციო სამუშაოებით. ასეთი პროექტების განხორციელებისას ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქალაქის ეკონომიკური აქტივობის პოტენციალის გაზრდა, საცხოვრებელი და სარეკრეაციო გარემოს გაუმჯობესება და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ავთენტურობის დაცვა.

შინაარსი

თავმჯდომარის მიმართვა---------- 2

თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულო----------5

მუშაობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ---------- 6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი ---------- 12

ურბანული პოლიტიკა ---------- 13

ტრანსპორტი---------- 16

მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები---------- 19

ეკოლოგია და გამწვანება---------- 23

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პოლიტიკა---------- 25

განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა ----------27

გეოგრაფიული ობიექტების სახელდება ----------29

საკრებულოს გენდერული საბჭო ----------29

მუნიციპალიტეტის ინიციატივები პანდემიის პირობებში ---------- 31

წარმომადგენლობითი ფუნქციები და საგარეო ურთიერთობები----------33

საკრებულოს სხვადახვა ღონისძიებები----------32

წარმომადგენლობის საქმიანობა სამგორის სამაჟორიტარო ოლქში----------41

თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – **მუნიციპალიტეტის საკრებულო.**

მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა **4 წლის ვადით**, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებზე, **4 წლის ვადით,** ამომრჩევლებმა აირჩიეს საქართველოს დედაქალაქის თბილისის თვითმმართველი ორგანოს – საკრებულოს **50 წევრი,** აქედან **25 წევრი –** ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო **25 წევრი –** პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.

2017 წლის 14 ნოემბერს შედგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს სხდომა.

საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით აირჩია მუნიციპალიტეტის **საკრებულოს თავმჯდომარე.**

საკრებულოს უფლებამოსილება და საქმინობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

საკრებულოს აპარატის ორგანიცაზიული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა

საკრებულოს მუნიციპალიტეტის საქმინობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური.

აპარტის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე.

აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.



VI მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 11 კომისია და 5 ფრაქცია.

საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის შედეგად ხდება დედაქალაქის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

- **23** სხდომა
- **26** ბიუროს სხდომა

საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა სულ **729** საკითხი და მიღებული იქნა **619 განკარგულება** და **110 დადგენილება**.



მიმდინარე წელს მუნიციპალიეტეტის საკრებულოს შემადგენლობაში შეიქმნა კიდევ ერთი ფრაქცია - „თბილისელი“

საკრებულოს კომპეტენციების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები დედაქალაქის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მათ შორის:

- ურბანული განვითარება;
- ტრანსპორტი;
- ეკოლოგია და გამწვანება;
- სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;
- ეკონომიკური პოლიტიკა;
- მუნიციპალური ქონების მართვა;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდება

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დედაქალაქში განხორციელდა და ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები.

გაცემული რეკომენდაციების და ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საკრებულოს, ბიუროს სხდომები და კომისიების საქმიანობა მიმდინარეობს ჯანდაცვის რეკომენდაციების სრული დაცვით.

მუშაობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

კომისიის მიზანია: ქალაქ თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება, საქალაქო მეურნეობის დარგების განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოწყობის, განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების დაგეგმვა და სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების შემუშავება.

კომისიის საქმიანობა:

* განიხილავს საკრებულოს მიერ დედაქალაქში ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის საკითხებს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს.
* თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს.
* თავის საქმიანობას ახორციელებს დებულების, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე

კომისიის შემადგენლობაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11 წევრი

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ გაიმართა 25 სხდომა

კომისიის 26 სხდომაზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 330 საკითხი.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის იმპლემენტაციის პროცესში, კომისიის სხდომებზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის **568** ცვლილება, დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 17 ზონალური ცვლილება, უარი ეთქვა 4 ზონალურ ცვლილებას.

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 175 პროექტი.

კომისიის სხდომაზე ასევე განხილულ/შესწავლილ იქნა სხვა დამატებითი ინდივიდუალური და ნორმატიული აქტების 124 პროექტი.

გარემოს დაცვის კომისია

მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და/ან წარმოდგენილ პროექტებზე დასკვნის მომზადება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება:

* გარემოს დაცვას
* გარემოს დაცვის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის ხელშეწყობას
* გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას
* გარემოს დაცვის ღონისძიებათა აქტიურ პროპაგანდას, სხვადასხვა გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავებას
* გარემოს არსებული მდგომარეობის შესწავლა-შეფასებასა და მისი გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებათა განსაზღვრას
* ბუნებრივ გარემოზე საწარმოო საქმიანობის ზეგავლენას
* გამწვანება-განაშენიანებას, დაზიანებული და განადგურებული ტერიტორიების აღდგენას
* ქალაქში სარეკრეაციო სივრცეების შექმნას
* საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციების აღკვეთასა და პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებას
* შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის, მათი პოპულაციების მართვის წესს და ასევე, უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას
* დედაქალაქის ტერიტორიაზე წიაღისა და წიაღისეულის დაცვასა და აღწარმოებას

კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 8 წევრით.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა გარემოს დაცვის კომისიის **25** სხდომა.

კომისიის მიერ შესწავლილი და განხილული იქნა **179** საკითხი.

საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

VI მოწვევის საკრებულოს შემადგენლობაში შეიქმნა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ რომელის შემადგენლობა განისაზღვრება 30 წევრით.

ფრაქციის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

* ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა
* დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა
* ფრაქციაში გაწევრიანებისა და ფრაქციიდან გასვლის ნებაყოფლობითობა
* თანასწორობა კანონის წინაშე

ფრაქცია შემქნილია საერთო პლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისა და სქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

ფრაქციის მიერ საანგარიშო პეროიდში ჩატარდა 16 სხდომა

ფრაქციის სხდომებზე განხილულ იქნა 25 საკითხი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი

თბილისის 2021 წლის ბიუჯეტმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია და 1 მილიარდ 227 მილიონი ლარი შეადგინა.



თბილისის მთავარი ფინანსური დოკუმენტი შემდეგ პრიორიტეტებზე გადანაწილდა:

- გზები და ტრანსპორტი
- ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა და ქალაქის განვითარება
- ეკოლოგია და გამწვანება
- ეკონომიკის განვითარებისა ხელშეწყობა
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- განათლება
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა
- საზოგადოებრივი წესრიგი
- თბილსის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

ურბანული პოლიტიკა

ურბანული პოლიტიკის მიმართულებით მუნიციპალიეტეტის მიერ მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები.

მათ შორის აღსანიშნავია:

- თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღება;
- განაშენიანების ინტენსივობის - K2 კოეფიციენტის მატების აკრძალვა;
- დამატებით 4 მლნ. კვ.მ. მწვანე სივრცის განსაზღვრა
- ახალი საპარკო არეალების მოწყობა
- მშენებლობების აკრაძალვა სარეკრეაციო არეალებში
- თბილისის ისტორიული ნაწილის აღდგენა



ურბანული რეფორმის ფარგლებში გადახედილ იქნა განაშენიანების გეგმარების პროცესი და შემოღებული იქნა გეგმარების ახალი სტანდარტი, რომელმაც კომპლექსური მიდგომით მოაწესრიგა დედაქალაქში განაშენიანების მანკიერი პრაქტიკა. ახალი სტანდარტი მოიცავს:

- ✓ ტრანსპორტის კვლევას
- ✓ დენდროლოგიურ კვლევას
- ✓ საინჟინრო ქსელების გათვალისწინებას
- ✓ ტროტუარების სტანდარტს
- ✓ ისტორიული საბჭოს ჩართულობას
- ✓ კოეფიციენტების შეზღუდვას

ასევე, მოსახლეობასთან ერთად მჭიდრო თანამშრომლობით ახალი გადაწყვეტა მოიძებნა ქალაქში არსებული ავტოფარეხების სარეკრეაციო სივრცეებად გარდაქმნისათვის.

დედაქალაქს 500 მდე ავტოფარეხის ნაცვლად 35 სარეკრეციო სივრცე შეემატა.

- **კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროექტი კვლავ გრძელდება .**

მუნიციპალიტეტის მიერ უკვე გამოყოფილია კონკრეტული მიწის ნაკვეთები დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში, რომელთა ჯამური ფართობი 20 ჰექტარ ტერიტორიას აღემატება .

დაზარალებული 3100 პირისგან უკვე დაკმაყოფილდა 1300 -მდე ოჯახი.

- უმნიშვნელოვანესია სამშენებლო კომპანიების მიერ დაზარალებული მოქალაქეების დახმარება და გაჩერებული მშენებლობების დასრულება. თბილისის მერია და საკრებულო, კერძო სამშენებლო კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობით, აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიმართულებით აქტიურად მუშაობს.

იდენტიფიცირებულია 179 დაუმთავრებელი მშენებლობა - 13 000 დაზარალებული ოჯახი.
საკრებულოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით, სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ფართებს მიიღებენ:

- სამშენებლო კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის“ დაზარალებული 400-მდე ოჯახი
- სამშენებლო კომპანია სვეტის 2000 ზე მეტი დაზარალებული ოჯახი
- სხვა დანარჩენი კომანიების მიერ დაზარალებული 1000 ოჯახი

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტის 6000-მდე დაზარალებული ოჯახი კუთვნილ საცხოვრებელ ფართებს მიიღებენ, რითაც თბილისში „ცენტრ პოინტის“ დაუსრულებელი მშენებლობების პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება.

დაზარალებულების შესაბამისი ფართებით დაკმაყოფილება ეტაპობრივად მოხდება ვიდრე არ მოხდება აღნიშნულის პრობლემის სრულად გადაჭრა.

ტრანსპორტი

დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკა მიმართულია მაქსიმალურად მოერგოს თანამედროვე ქალაქის სტანდარტებს. თბილისი განიტვირთოს საცობებისგან, გაუმჯობესდეს ეკოლოგიური მდგომარეობა და მოქალაქეებმა ავტომობილების ნაცვლად, უპირატესობა საზოგადოებრივ ტრანსპორტს მიანიჭონ.

ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა მათ შორის:

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის განახლება
- ტრანსპორტის მართვის ახალი სისტემა
- ავტობუსების პარკის განახლება
- მიკროავტობუსების პარკის განახლება
- მეტროპოლიტენის რეაბილიტაცია
- ტაქსების რეფორმა
- ზონალურ-საათობრივი პარკირება



თბილისის ავტოპარკში 680 ერთეული ახალი ავტობუსია, ხოლო 2020 წელს ჩანაცვლებულ ახალ მიკროავტობუსს 2021 წელს კიდევ 700 ერთეული დაემატება 2022 წელს იგეგმება დამატებით 200 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსების შემოყვანა, რაც უზრუნველყოფს დედაქალაქში ახალი სატრანზიტო დერეფნების ამოქმედებას.

ასევე, გრძელდება მეტროს რეაბილიტაციის პროექტი

- მეტროს დაემატა **27 ერთეული ვაგონი**
- კაპიტალურად შეკეთდა **79 ერთეული ვაგონი**
- მიმდინარეობს დამატებით **20 ერთეული ვაგონის შეკეთება**
- შევისყიდეთ და 2024 წლამდე მეტროპოლიტენს დაემატება **ახალი 40 ერთეული მეტროს ვაგონი**

საათობრივი ზონალური პარკირების არეალები ფართოვდება, ჯამში, 702 ახალი საპარკინგე ადგილი შეემატება ზონალურ-საათობრივი პარკირების პროგრამას,

ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელების შედეგად დედაქალაქში მივიღეთ მულტიმოდალური, უსაფრთხო და კომფორტული ქუჩის დიზაინი, ეკომეგობურლი ტრანსპორტი და ველობილიკები.



მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები

თბილისში გასულ წლებში განხორციელდა და ამჟამადაც მიმდინარეობს არაერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი.

- კაპიტალურად შეკეთდა ჯამში 5 400 000 კვ.მ. ფართობის გზის საფარი
- სრულად რეაბილიტირდა 903 ქუჩა და საგზაო სამუშაოები ფრაგმენტულად ჩატარდა 422 ქუჩაზე
- აშენდა 3 გზაგამტარი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 ხიდს
- წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების მოწყობის და რეაბილიტაციისა 58 პროექტი განხორციელდა
- საყრდენი კედელი მოეწყო 383 მისამართზე
- გამაგრების სამუშაოები 355 ავარიულ მრავალბინიან სახლს ჩაუტარდა



თბილისის განვითარების ფონდის მიერ პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში გრძელდება თბილისის ისტორიულ ნაწილში მდებარე შენობა-ნაგებობების, ისტორიული ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში, რეაბილიტაცია უკვე ჩაუტარდა 93 ობიექტს, მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის 74 ძეგლია. გასულ წლებში განხორციელებული პროექტებიდან განსაკუთრებით აღასანიშნავია:

- ორბელიანის მოედნისა და მიმდებარე ქუჩებზე მდებარე 22-მდე შენობის სარესტავრაციო- სარეაბილიტაციო სამუშაოები
- გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე 30-მდე შნობის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- დედაენის და 9 მარტის ბაღების რეაბილიტაცია
- კადეტთა კორპუსი
- დარეჯანის სასახლე
- სხვა ისტოტიული შენობები 27 მისამართზე

ამ ეტაპზე მიმდინარეობს:

- 33 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია
- 10 ისტორიული სადარბაზოს რესტავრაცია
- 1 ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაცია

პროექტის ფარგლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რესტავრაცია-რეაბილიტაცია ინტენსიური რეჟიმით მიმდინარეობს. სასახლის სრული რეაბილიტაცია 2023 წლისთვის დასრულდება.



ქალაქისთვის პირვანდელი სახით დაბრუნების მასშტაბურ პროექტ, რესტავრირებული ორბელიანს და დარეჯანის სასახლეს კიდევ ერთი აღდგენილი მე-19 საუკუნის შენობა შეემატა-ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, სადაც ასევე იყო განთავსებული გაზეთ „ივრიის“ რედაქცია და სტამბა.

შენობის რესტავრაცია 2017 წელს დაიწყო და 3 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ეკოლოგია და გამწვანება

დედაქალაქის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი - ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რომლის ფარგლებშიც. მიმდინარეობს არსებული რეკრეაციული ზონების განახლება-რეაბილიტაცია და ახალი, უპრეცედენტოდ მასშტაბური მწვანე სივრცეების შექმნა.

დედაქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა.

- შემუშავდა ნარჩენების მართვის გეგმა და სტრატეგია
- მომზადდა კვლევა თბილისის ზღვის სანიტარული დაცვის ზონებზე
- განხორციელდა ღონისძიებები ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების პრევენციისათვის

საპარკე კულტურის განვითარება მნიშვნელოვან პრიორიტეტად იქცა.
მოეწყო და განახლდა 100 ჰექტარი სარეკრეაციო სივრცე და 12 ჰექტარი მწვანე კუნძული. მათ შორის უკვე მოეწყო 1000 სკვერი, 15 პარკი, 60 მწვანე კუნძული.

აქტიურად მიმდინარეობს ახალი საქალაქო მნიშვნელობის პარკების მშენებლობა:

- ✓ ცენტრალური პარკი იპოდრომი
- ✓ მთაწმინდის ფერდის აღდგენა
- ✓ ვაკის პარკის რეაბილიტაცია
- ✓ ვარკეთილის ხევი
- ✓ რიგის პარკი
- ✓ თემქის ხევი

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პოლიტიკა

ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სერვისების გაუმჯობესებაზე მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს.

დედაქალაქის მოსახლეობისათვის ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, როგორც ჯანდაცვის ასევე სოციალური მიმართულებით.

ჯანდაცვის სფეროში სამი ახალი პროგრამა დაინერგა, ზოგი პროგრამა გაგრძელდა, ზოგი კი გაფართოვდა. დღეს მოქმედი პროგრამებია:

- ✓ დაავადებათა სკრინინგი
- ✓ გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი
- ✓ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა
- ✓ „C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკა
- ✓ ტრანსპლანტაცია
- ✓ ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება
- ✓ ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება
- ✓ გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

სოციალური მიმართულებით დედაქალაქში სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის 28 პროგრამა ხორციელდება

- ✓ კომუნალური სუბსიდირება
- ✓ სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება
- ✓ 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება
- ✓ სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებსა და მოწავლე–ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სწავლების დაფინანსება
- ✓ სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ხელოვნების სკოლებში სწავლების დაფინანსება

- ✓ სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებზე სწავლების დაფინანსება
- ✓ სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)
- ✓ სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები
- ✓ ომის ვეტერანთა დახმარება o მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა
- ✓ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა
- ✓ სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება
- ✓ სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება
- ✓ ,,ვორლდ ვიჟენ საქართველოს" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება
- ✓ სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარებ
- ✓ შინმოვლის თანადაფინანსება
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაცია და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა
- ✓ სოციალური მზრუნველობის სააგენტო
- ✓ სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში
- ✓ უფასო სასადილოები რაიონებში
- ✓ დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია
- ✓ საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელ-ტრანსპორტით და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურებ
- ✓ წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში
- ✓ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები რაიონებში

ასევე გრძელდება საცხოვრებელი ფართების დაკანონების პროგრამა არსებული მდგომარეობით 1600 მდე ოჯახს უკვე გადაეცა საკუთრებაში ის საცხოვრებელი ფართები, სადაც წლობით ცხოვრობდნენ.

განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

დედაქალაქში განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით მიმართულებით არაერთი პროექტი თუ ინიციატივა ხორციელდება. მათ შორის აღსანიშნავია:

- ✓ სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამა
- ✓ წარჩინებული მაგისტრანტების სასტიპენდიო პროგრამა
- ✓ პროფესიული გადამზადების პროგრამა - "ისწავლე და დასაქმდი"
- ✓ არაფორმალური განათლების მხარდაჭერის პროგრამა
- ✓ სხვადასხვა ინკლუზიური პროექტები

სოციალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია

- თბილისში განვლილ 4 წლის პერიოდში უკვე აშენდა და გაიხსნა 18 საბავშვო ბაგა-ბაღი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 საბავშვო ბაგა-ბაღს.
- მიმდინარე პერიოდშიც ხორციელდება ახალი ბაღების მშენებლობის სამუშაოები.
- განხორციელდა 3 სპორტული ცენტრის მშენებლობა
- სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 7 სპორტულ ცენტრს
- მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 518 სპორტულ მოედანს
- მოეწყო 386 გარე გამოყენების სატრენაჟორო სივრცე
- სულად რეაბილიტირდა 8 სახელოვნებო სკოლა
- სრულად რეაბილიტირდა 2 ბიბლიოთეკა და 1 მედიათეკა

სოციალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია მიმდინარე პერიოდშიც აქტიურ რეჟიმში ხორციელდება დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში. ასევე, დაგეგმილია ახალი ობიქტების პროექტირება და მშენებლლობა, რომელიც მომდევნი წლებში განხორციელდება.

დედაქალაქში სხვადასვა ფესტივალები და საერთაშორისო პროექტები განხორციელდა. მათ შორის:

- ✓ ფესტივალი „თბილისის ცის ქვეშ“
- ✓ თბილისის „სტუდენტური ფესტივალი“
- ✓ ქუჩის ხელოვნების ფესტივალი
- ✓ საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამები
- ✓ პროგრამა „მერიასთან ერთად“
- ✓ კონკურსი „შემოქმედებითი თბილისი“

UNESCO-ს გადაწყვეტილებით თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქად გამოცხადდა



გეოგრაფიული ობიექტების სახელდება

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, საანგარიშო პერიოდში სულ დედაქალაქში განხორციელდა 4000-მდე გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ ბოლო წლებში ბევრი დიდი ხელოვანი გამოაკლდა ქართულ კულტურას. საკრებულოს სიმბოლიკისა და სახელდების კომისიამ თბილისის მასშტაბით არაერთ ინიციატივაზე იმსჯელა, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულომ კი მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები მათი სახელების უკვდავსაყოფად. მათ შორის:

- მთაწმინდის რაიონში, დიმიტრი ბაქრაძის მე-2 შესახვევს კინორეჟისორ გიორგი შენგელაიას ქუჩის სახელი მიენიჭა
- საქ. რესპუბლიკის ბაღთან არსებული უსახელო ხეივანს - მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის სახელი მიენიჭა
- სამგორის რაიონში, გარდაბნის ქუჩას ფილოსოფოს თამაზ ბუაჩიძის სახელი მიენიჭა
- დიდუბის რაიონში, უსახელო სკვერს კინორეჟისორ სიკო დოლიძის სახელი მიენიჭა
- ჩუღურეთის რაიონში, გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღში მდებარე საკონცერტო დარბაზს ფოლკლორისტ ანზორ ერქომაიშვილის სახელი მიენიჭა
- მთაწმინდის რაიონში კოტე მესხის შესახვევს კინორეჟისორ სერგო ფარაჯანოვის სახელი მიენიჭა
- კრწანისის რაიონში შოთა ნიშნიანიძის გასასვლელს მომღერალ ზურა დოიჯაშვილის სახელი მიენიჭა
- ილია და ნინო ნაკაშიძეების ქუჩის შესახვევს მსახობ კახი კავ\საძის სახელი მიენიჭა
- ექვთიმე აღმსარებლის სახელი მიენიჭა უსახელო ქუჩას მთაწმინდის რაიონში, კიკეთში.

❖ კომისია ეტაპობრივად ახორციელებს დედაქალაქის რიგი ქუჩებისათვის იუნკერების სახელების მინიჭებას. ალექსანდრე ახვლედიანის სახელი მიენიჭა ისნის რაიონში დავით კაჭარავას ქუჩას, ასევე იუნკერ პლატონ დოლიძის სახელი მიენიჭა ექვთიმე სართანიას ქუჩას ნაძალადევში.

თბილისის საკრებულოში შეიქმნა და ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის საბჭო

საბჭო მუშაობს ისეთ საკითხებზე როგორიცაა:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა
- გენდერულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება
- გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მუნიციპალური პროგრამების შემუშავება
- ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენა

მუნიციპალიტეტის ინიციატივები პანდემიის პირობებში

მსოფლიო პანდემიით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე. ამ ურთულეს პერიოდში მუნიციპალიტეტმა შეძლო ოპერატიულად მიეღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სხვადასხვა ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებისთვის. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- მუნიციპალური ქონების საიჯარო ქირისგან გათავისუფლება
- სამშენებლო ნებართვით გათვალისწინებული ვადის დარღვევაზე შეღავათის დაწესება
- დასუფთავების მოსაკრებლისგან გათავისუფლება
- მემორანდუმი წითელ ჯვართან- მოხალისეების გადამზადება
- კერძო სექტორთან ერთად, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების კამპანიის წარმოება
- პროექტის "უსმინე თბილისს" განხორციელება

თბილისის საკრებულომ, კერძო სექტორთან ერთად, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი შვილი) ოჯახების დახმარების კამპანია დაიწყო.

კამპანიას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ფიზიკური პირებიც შეუერთდნენ.
ერთობლივად განხორციელებული დონაციით, საკვები პროდუქტებითა და პირველადი მოხმარების ნივთებით 3000-მდე ოჯახს გაეწია დახმარება.

წარმომადგენლობითი ფუნქციები და საგარეო ურთიერთობები

* ევროპული სტანდარტებით თვითმმართველობის შემდგომი განვითარების მიზნით ქ. თბილისის საკრებულოს დელეგაცია მუდმივად თანამშრომლობს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესთან. როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ და ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა საანგარიშო პერიოდში დისტანციურ ფორმატში მონაწილეობა მივიღე:

- ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის გენერალური მდივნის არჩევნებში.
- ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მიმდინარე საკითხთა კომიტეტის შეხვედრაში.
- ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის სოციალისტების, მწვანეებისა და პროგრესული დემოკრატების პოლიტიკური ჯგუფის შეხვედრაში.
- ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მე-40 პლენარულ სესიაში, სადაც არჩეულ ოქნა კონგრესის ახალი პრეზიდენტი და განვიხილეს 2021-2026 წლების პრიორიტეტები.
- ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მიმდინარე საკითხთა კომიტეტის შეხვედრაში.
- ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მე-40 პლენარული სესიაში. სესიის ფარგლებში განვიხილს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის განხორციელების მონიტორინგის შედეგები, გაიმართა თემატური დებატები: პანდემიის გავლენა ევროპის ქალაქების სოციალურ-პოლიტიკურ და დემოკრატიულ პროცესებზე, რეგიონების როლი კოვიდ-19-ის საპასუხო ღონისძიებების განხორციელებაში და პოსტ-კრიზისული რეგენერაცია.



- ჩვენი ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შეხვედრა შედგა ესტონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან რიინა კალიურანდთან.

- საქართველოში ბულგარეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, დესისლავა ივანოვასთან, რის შედეგადაც 19 მარტს საქართველოსა და ბულგარეთს შორის კეთილმეგობრული ურთიერთობების ნიშნად, ქალაქ სოფიას სახელობის სკვერი გაიხსნა

- თბილისის საკრებულომ კიევის ახლადარჩეული საქალაქო საბჭოს დელეგაციას უმასპინძლა

საკრებულოს სხვადასხვა ღონისძიებები

- თბილისში, ინდოელი ხალხის სულიერი მამის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის, ფილოსოფოსისა და მოაზროვნის მაჰათმა განდის ძეგლი გაიხსნა

მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმში ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულს საკრებულოს წევრები დაესწრნენ

თბილისის დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებულებტა მოეწყო შეხვედრა.
შეხვედრა აღმოსავლეთ ევროპის მრავალპატიული დემოკრატიის ცენტრის ორგანიზებით და ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა. შეხვედრას ნიდერლანდების სამეფოს ელჩის მოადგილე, ქალბატონი ლუს ლამერტსი ესწრებოდა.
მოწვეულ ახალგაზრდებს თბილისის მუნიციპალიტეტიში მიმდინარე და სამომავლო დაგეგმილი პროექტების შესახებ მიეწოდათ ინფორმაცია.

საკრებულოს ინიციატივით თბილისის სკოლებს შორის გაიმართა კონკურსი „ პანდემია როგორც შესაძლებლობა“. კონკურსის მიზანს წარმოადგენდა მოზარდთა მხრიდან პანდემიით გამოწვეული გლობალური რისკების შეფასება და ამ პრობლემის პოზიტიური ხედვა. პროექტში მონაწილე ბავშვებს საშუალება მიეცათ საკუთარ თავში აღმოეჩინათ ახალი ნიჭი, შესაძლებლბები და ინტერესები, ამასთან დაუფლებოდნენ განსხვავებულ ცოდნასა და უნარებს.

კონკურსის გამარჯვეულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი დიპლომებით. ასევე მონაწილეებს გადაეცათ სხვადასხვა სასაჩუქრე პაკეტები.

საკრებულომ მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგის ახალგაზრდულ ნაკრებს უმასპინძლა, რომელიც სასკოლო ლიგის გამარჯვებული გუნდების საუკეთესო მოთამაშეებით დაკომპლექტდა. ახალგაზრდული ნაკრები მსოფლიო მინი ფხბურთის ჩემპიონატში პირველად მონაწილეებდა.

დედაქალაქის საკრებულოში არაერთი კულტურული ღონისძიება, გამოფენა და პრეზენტაცია გაიმართა:

- გამოფენა „ფერწერა აფხაზეთიდან“ გაიმართა. აფხაზეთიდან დევნილმა ახალგაზრდებმა ფერწერული ნამუშევრები გამოფინეს.
- საკრებულომ ლეგენდარულ ანსამბს „ერისიონს უმასპინძლა, რომელსაც დაარსებიდან 135 წელი შეუსრულდა
- გაიმართა პრეზენტაცია წიგნის - „მედიცინა ძველ თბილისში“. იგი მე-19 , მე-20 საუკუნის მიჯნაზე ქართული სამედიცინო კულტურის შესახებ მოგვითხრობს.

პრეზენტაციას სხვადასხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად დამსახურებული ქართველი ექიმებიც ესწრებოდნენ

— მშობლიური ენის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. სადაც, სხვადსხვა პერიოდის ცნობილი ხელოვანთა ქართული შრიფტის გარნიტური, აფხაზურ- ოსურ ენებზე გამოცემული მხატვრული წიგნები და სახლემწიფო ენის დეპარტამენტის კონცეფციით შექმნილი და გამოცემული ლექსიკონები იყო წარმოდგენილი.

თბილისის საკრებულოში ქართველი საზოგადო მოღვაწის პუბლიცისტისა და მთარგმნელის დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი საგამოფენო სივრცე გაიხსნა.

აღნიშნული სივრცის მოწყობა ემსახურება ქვეყნისა და ქალაქის წინაშე არსებული მისი ღვაწლის ასახვას, დაფასებას და მომავალი თაობებისათვის გადაცემას.



წარმომადგენლობის საქმიანობა სამგორის სამაჟორიტარო ოლქში

მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლობაში მოსახლეების მხრიდან შემოსული განცხადებების, ასევე წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციების გაანალიზებით სამაჟორიტარო ოლქში გამოვლენილ და იდენტიფიცირებული იქნა პრობლემები სხვადასხვა მიმართულებებით.

მაჟორიტარი დეპუტატის მიერ მოქალაქეთა მიღება ხდება სისტემატურად ოთხშაბათ დღეს.

წარმომადგენლობის ფუნქციონირების პერიოდში, მსოფლიო პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე, ორგანიზებული იქნა მაჟორიტარი დეპუტატის შედარებით მცირე რაოდენობის შეხვედრა წარმომადგენლობაში, ხოლო სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ მოქალაქეებთან კომუნიკაციის მიზნით ჩატარდა გასვლითი შეხვედრები. საერთო ჯამში ზეპირი კონსულტაცია გაეწია 900-მდე მოქალაქეს.

მაჟორიტარი დეპუტატის სახელზე რეგისტრირებულია ასობით განცხადება. მოქალაქეებს წერილობითი შუამდგომლობები გაეწიათ, სხვადასხვა მუნიციპალური სერვისების მიღების მიზნით.

ასევე, მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით „თბილისის მუზეუმების კვირეულის“ ფარგლებში სკოლის მოსწავლეებისათვის მოეწყო სხვადასხვა ტური.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები

წარმომადგენლობის ქ. თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და სამგორის რაიონის გამგეობასთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად სამაჟორიტარო ტერიტორიაზე შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ 4 წლის განმავლობაში მსხვილი და მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა. მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა
- სკვერების რეაბილიტაცია, ახალი სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა
- სტრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
- გარე განათების ბოძების დამონტაჟება
- დაზიანებული ნაგვის ურნების შეცვლა

მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები

აეროპიტის მიმართულებით მიმავალი გზის და კახეთის გზატკეცილი მე-12 კილომეტრტან მდებარე ხიდის რებილიტაცია დასრულდა.

ასევე , დასრულდა ჯორჯ ბუშის ქუჩის, კახეთის გზატკეცილის განაპირა ზოლებისა და მონუმენტის „ადამიანი და მზე“ მიმდებარედ არსებული თარგების სარეაბილიტაციო სამუსაოები.

თვალჭრელიძის ქუჩაზე განხორციელდა ქუჩის კაპიტალური რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში 17900 კვ.მ ფართობზე დაიგო ასფალტის ორფენიანი საფარი. მოეწყო ბორდიური და ტროტუარი, ასევე სანიაღვრე ქსელი. საერთო ჯამში მოწესრიგდა 22 810 კვ.მ ფართობის ტერიტორია. თვალჭრელიძის ქუჩაზე 30 წელი ასფალტის საფარი არ დაგებულა.

სოფელ ნასაგურში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში გაკეთდა ოთხკილომეტრიანი გზის მონაკვეთი. სრულად აღდგა ორი ხიდი. სამშენებლო არეალი კახეთის გზატკეცილიდან იწყება და მგელაძისა და იორის ქუჩების გავლით სოფელ ნასაგურში აფხაზეთისა და მაჩაბელის ქუჩებთან მიერთებით სრულდება.

გარდა აღნიშნული მაშტაბური პროეტებისა, განვლილ პერიოდში სამაჟორიტარო ტერიტორიაზე 100-მდე მისამართზე განხორციელდა სსხვადასხვა საგზაო სამუშაოები.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა ისეთ შიდა გზებს, რომლებიც 30-40 წლის განმავლობაში არ იყო მოწესრიგებული.

მიმდინარე წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, სამუშაოები განხორციელდა შემდეგ მისამართებზე:

- ✓ დიდი ლილო, ი. გოგებაშვილის ქუჩა
- ✓ დიდი ლილო, ი. ჭავჭავაძის ქუჩა
- ✓ დიდი ლილო, ერეკლე მეორეს ქუჩა რეაბილიტაცია
- ✓ დიდი ლილო არჩილ მეფის ქუჩა რეაბილიტაცია
- ✓ დიდი ლილო, ერეკლე მეორეს ქ. მე-4 შესახვევი
- ✓ სოფ. წინუბანი, რკინიგზის ქუჩა
- ✓ სოფ. წინუბანი, მერი მდივნის ქუჩა
- ✓ სოფ. წინუბანი, ხევსურეთის ქუჩა
- ✓ დიდი ლილო, ალ. ჯაფარიძის ქუჩა ნაკვეთი 81.08.07.534-ის მიმდებარედ (ორმოული
- ✓ კახეთის გზატკეცილის და ასლანიშვილის ქუჩის კვეთა (სოფ. ნასაგურის გადასახვევი) (ორმოული)
- ✓ კახეთის გზატკეცილი შპს "კასტელი"-ს მიმდებარედ
- ✓ დიდი ლილო, ერეკლე მეორეს ქუჩა სამხედრო ქალაქის მიმდებარედ რეაბილიტაცია
- ✓ ლილოს დასახლება, მეფრინველეობის ქუჩა N16
- ✓ ლილოს დასახლება, ნაკვეთი ს/კ 01.19.27.002.045-თან ბილიკის მოწყობა
- ✓ დიდი ლილო არჩილ მეფის ქუჩა N30-ის მიმდებარედ რეაბილიტაცია
- ✓ ლილოს დასახლება, ჭირნახულის ქუჩა, შ.პ.ს "ავერსი ფარმას"-ს მიმდებარედ-ორმოულის შეკეთება

- ✓ ლილოს დასახლება, რ. აბრამიშვილის IV შესახვევი-ორმოულის შეკეთება.
- ✓ სოფელი წინუბანი, რკინიგზის ქუჩა.
- ✓ სოფელი წინუბანი, იალნოს ქუჩიდან მერი მდივნის ქუჩამდე.
- ✓ სოფელი წინუბანი, იალნოს ქუჩა
- ✓ ჭირნახულის ქუჩა, რკინიგზის გადასასვლელი
- ✓ კაკლიანის ქუჩა
- ✓ ვაჟა-ფშაველას ქუჩა
- ✓ ვარკეთილის მეურნეობა, რუსთაველის ქ. N1 და რუსთაველის ქუჩის 1-ლი შესახვევი
- ✓ ევგენია მაისურაძის ქ
- ✓ რუსთაველის ქ. N14-ის მიმდებარედ



მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- ✓ თვალჭრელიძის ქუჩის 1 და 2 შესახვევი
- ✓ ამილახვარის ქუჩის N1-დან N13-მდე ჩათვლით
- ✓ ვარკეთილის დასახლება, გუდამაყრის ქუჩა
- ✓ ორხევის დასახლება, ესენინისა და ბანეთიშვილის ქუჩები
- ✓ ვარკეთილის მეურნეობა, რუსთაველის ქ. N20
- ✓ ვარკეთილის მეურნეობა, რუსთაველის ქ. N14-16
- ✓ შანშიაშვილისა და შ. ჭანკოტაძის ხეივნის კვეთა (ორმოული)
- ✓ მუხაძის ქ. N6/2-ის მიმდებარედ

დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- ✓ აეროპორტის დასახლება კორპ. N29
- ✓ ავარკეთილის მეურნეობა, მეგობრობის ქ N5

წყალარინება და წყალმომარაგების გაუმჯობესება

მაშტაბური ინფრასტრუქტყრული სამუშაოები თავის მხრივ წყალარინების და წყალმომარაგების სარეაბილიტაციასაც მოიცავს. აღნიშნული მიმართულებით სამაჟორიტარო ტერიტორიაზე უკვე განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები 20-მდე მისამართზე, ხოლო მიმდინარე წელს, კი სამუშაოები ჩატარდა:

- ✓ ორხევი, ესენინის ქუჩაზე
- ✓ პატარა ლილოში, თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩებზე სანიაღვრე ქსელის მოწყობა
- ✓ დიდი ლილო, ნიკო ლორთქიფანიძის ქუჩა N1-დან მირზა გელოვანის ქუჩა N11-მდე.
- ✓ დიდი ლილო, შიო არაგვისპირელის I ჩიხიდან შიო არაგვისპირელის ქუჩა N12-მდე;

ტრანსპორტი

გამართული მუნიციპალური ტრანსპორტი ერთ-ერთი მთავარი საკითხია სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრები მოსახლეობისთვის. აღსანიშნავია, რომ სამაჟორიტარო ტერიტორიაზე ავტოპარკის განახლების პროცესი ჯერ კიდევ წინა წლებში განხორციელდა.

ახალი ავტობუსები:

- ✓ მთლიანად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.
- ✓ აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტის, ინტეგრირებული გათბობის, კონდიცირებისა და ვენტილაციის საინფორმაციო ხმოვანი სისტემებით.
- ✓ უზრუნველყოფილია ვიდეომონიტორინგის სისტემითა და usb-დამტენებით.

2021 წლიდან ყვითელი სამარშრუტო ტაქსები ჩანაცვლდა ლურჯი თანამედროვე მიკროავტობუსებით, რომელიც თანამედროვე ინტეგრირებული გადახდის სისტემით არის აღჭურვილი, რომლის საშუალებითაც მოქალაქე საათნახევრის განმავლობაში, ერთი გადახდით მგზავრობს.

<u>სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერები და „ზებრა“ გადასასვლელები დამონტაჟდა სამაჟორიტარო ტერიტორიაზე</u>

სპორტული ობიექტების მოწყობა

ახალგაზრდებში ჯანსაღი, სპორტული ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით 4 წლის განმავლობაში არაერთი სპორტული ობიექტო მოეწყო. მათ შორის:

- სპორტული მოედენი მოეწყო დიდ ლილოში, ლილოს დასახლებაში, ორხევის დასახლებაში და აეროპორტის დასახლებაში
- ვარკეთილის დასახლებაში რეაბილიტირდა სპორტული კომპლექსი, სადაც განთავსდა ჭიდაობის, ტანვარჯიშისა და ფიტნეს დარბაზები.
- მოეწყო ფეხბურთისა და კალათბურთის კომბინირებული, ხელოვნურსაფარიანი მოედანი მოეწყო, ლილოს დას.-ში, I მკრ-ნი, N 15 და N 16 კორპუსების მიმდებარედ და აეროპორტის დასახლებაში, N35 კორპუსის მიმდებარედ
- სხვადასხვა მისამართებზე მოეწყო ფიტნეს ზონები
- ტრენაჟორები განთავსდა 25-მდე მისამართზე

2021 წლიდან ლილოს დასახლებაში, N107 საჯარო სკოლის მიმდებარედ, სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე, მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით, აშენდა ახალი საცურაო აუზი.

ასევე სპორტული ობიექტები მოეწყო:

- ✓ ლოჭინის დასახლებაში, კორპუსი №1-ის მიმდებარედ
- ✓ დიდი ლილოში, გოგებაშვილის №16-ის მიმდებარედ

სკვერებისა და რეკრეაციული ზონების მოწყობა

თანამედროვე სტანდარტების დასასვენებელი სივრცეები მოეწყო სამაჟორიტარო ტერიტორიაზე: ორხევის, ლილოს, ვარკეთილის და აეროპორტის დასახლებებში, ასევე, წინუბანში , მშვიდობის ქუჩაზე.

დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონები და გარე განათების ბოძები, განთავსდა საბაღე სკამები. საფეხმავლო ბილიკები დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა.

მიმდინარე წელს სამუშაობი ხორციელდება:

- ✓ ლილოს დასახლებაში ჭირნახულის ქუჩა ნაკ. 02/045 მიმდებარედ
- ✓ აეროპორტის დასახლება სახლი №2-ის მიმდებარედ

პროექტის ფარგლებში ტერიტორია ხვადასხვა დანიშნულების ზონებად დაიყო, სადაც განთავსდა:

- ბავშვთა გასართობი სივრცე.
- მოსასვენებელი სივრცე უფროსებისთვის
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედანი
- მოეწყო საფეხმავლო ბილიკები
- მოეწყო სასმელი წყლის შადრევნებისა და მწვანე ნარგავებისთვის სარწყავი წლის სისტემა
- სრულად განახლდა გარე განათება
- დამონტაჟდა სკამები და ურნები.

სკოლამდელი აღზრდა

სამაჟორიტარო ტერიტორიაზე 9 საბაშვო ბაგა-ბაღი ფუნქციონირებდა, რომელთაგან ბევრი რებილიტაციას საჭიროებდა. ასევე, ვინაიდან სკოლამდელი ასაკის ბავშვების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზრდილი იყო სამაჟორიტარო ოლქშია, ღნიშნული რაოდენობა ვერ უზრინველყოფდა მოსახლეობის სჭიროების დაკმაყოფილებას.
გასული წლების განმავლობაში, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე განთავსებული საბავშვო ბაღების უმრავლესობას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ლილოს დასახლებაში, (საქნავთის დასახლება) - კოსმეტიკური რემონტი გაკეთდა ჯუფებში, საძინებლებში, სველ წერტილებზე, გარემონტდა ჯგუფებში არსებული სამზარეულოები.

აეროპორტის დასახლებაში - მოეწყო ბაღის ეზოს ინფრასტრუქტურა.

დიდი ლილოს ბაგა-ბაღში განხორციელდა ეზოს კეთილმოწყობა
რაც შეეხება მიმდინარე წელს:

- ლილოს დასახლებაში, ევგენი აფხაზავას ქუჩაზე - მიმდინარეობს ახალი ბაღის მშენებლობა ბაღი ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, 400-მდე აღსაზრდელის მიღებას შეძლებს. ახალი ბაღი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შენდება, შენობას ექნება კეთილმოწყობილი შიდა და გარე სივრცეები. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება ბავშვთა უსაფრთხოება

- ვარკეთილის მეურნეობში მოხდა არსებული ამორტიზებული ბაგა-ბაღის შენობის დემონტაჟი და ამავე ტერიტორიაზე დაიწყო ახალი ბაღის მშენებლობა

ამხანაგობების მიერ მოთხოვნილ მისამართებზე განხორციელდა სხვადასხვა სამუშაოები

სამაჟორიტარო ტერიტორიაზე 40-მდე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაა რეგისტრირებული. ყოველწლიურად მათი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით თანადაფინანსების ფარგლებში, ხორციელდება სხვადსხვა პროექტები, მათ შორის:

- გადახრურვის სამუშაოები
- სადარბაზოების შიდა რემონტი
- წყალარინების და წყალკანალიზაციის რეაბილიტაცია
- ლიფტის მონტაჟი
- და სხვა...

მიმდინარე წელს სხვადასხვა სამუშაოები განხორციელდა შემდეგ მისამართებზე:

- ✓ ლილო, საქნავთის დასახლება 37
- ✓ ლილოს დასახლება, მე-4 კვარტალი, კორპუსი 12
- ✓ წინუბანი მერი მდივნის 2
- ✓ ერეკლე მეორის მე-4 შესახვევი, კორპუსი 5
- ✓ საქნავთის დასახლება 8
- ✓ ლილო კვარტალი 2, კორპუსი 8
- ✓ აეროპორტის დასახლება კორპუსი 28
- ✓ კახეთის გზატკეცილი 106–ე კილომეტრი
- ✓ მშვიდობის ქუჩა 26
- ✓ სამგორის ქუჩა 11
- ✓ კახეთის გზატკეცილი მე-13 კმ, კორპუსი 5

<u>დაზიანებული ნაგვის ურნების შეცვლა: ლილოს დასახლება - ოლქის ტერიტორიაზე</u>

<u>სხვადასხვა მისამართებზე შეიცვალა 100-მდე ნაგვის ურნა</u>

ჯნმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის მიზნით წარმომადგენლობის მიერ პერიოდულად მზადდება შუამდგომლობები და ეგზავნება სამგორის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის უფლებამოსილ სამსახურს. წარმომადგენლობის მიერ მომზადდა მოქალაქეებისათვის შემდეგი შუამდგომლობები:

2021 წლიდან უფასო სასადილოებს გაეზარდა დაფინანსება და ყველა მომლოდინე რეჟიმში მყოფი ბენეფიციარი გადავიდა ძირითად სიაში.

საცხოვრებელი ფართების დაკანონება

სამაჟორიტარო ოლქში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ფართების დაკანონება. ამ კუთხით წარმომადგენლობაში მოსახლეობის მხრიდან გრძელდება მომართვიანობა.

წარმომდგენლობის თანამშრომლები კონსულტირებას უწევენ მოსახლეობას საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებასთან დაკავშირებით.
განვლილი წლების განმავლობაში სამაჟორიტარო ტერიტორიის ხვადასხვა მისამართებზე 150-მდე ოჯახს უკვე დაუკანონდა ის საცხოვრებელი ფართები სადაც მრავალი წელი ცხოვრობდენენ.
საცხოვრებელი ფართების პრივატიზების პროცესი კვლალავ გრძელდება და მიმდინარე დაკანონება განხორციელდა შემდეგ მისამართებზე:

- ლილოს დასახალება მე-4 კვ. კორპ 2 ა - 2 ოჯახი
- გახოკიძის ქ. 8 ბინა 21 – 1 ოჯახი
- ქიზიყის ქ. 32 – 20 ოჯახი
- სტურუას ქ. 36 – 3 ოჯახი

მნიშვნელოვანი ღონისძიებები სამაჟრიტარო ტერიტორიაზე

ლილოს დასახლებაში სრულად გარემონტდა და შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა ეკატერინე გაბაშვილის სახელობის 25-ე მულტიფუნქციური ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკა აღიჭურვა თანამედროვე ლიტერატურით, კომპიუტერებით.

თბილისის საკრებულოსა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ერთობლივი ინიციატივით 1 ივლისს სამგორში დასაქმების ფორუმი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრები დასაქმების მსურველი მოქალაქეებიც იღებდნენ.

ფორუმის მიზანს წარმოადგენდა დასაქმების მსურველთათვის დასაქმებისა და სტაჟირების ხელშეწყობა. ფორუმში 20-მდე მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელმა შრომის ბაზარზე არსებული 300-ზე მეტი ვაკანსია წარმოადგინა.